პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР.

1981 წელი
პარასკევი
9 იანვარი
№ 7 (17949)
ფასი 2 კაპ.

სიტყვა ყრილობის დელეგატზე

უკმარისობის გრძნობით

ორი ხუთწლიანი გეგმა — ერთ ხუთწლედში — აი ნორა საქანიას საყრილობო ნოგათი

ყოველი დღე ხუთწლედით გავზომოთ

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

გადაიფურცლა ახალი, 1981 წლის კალენდრის მხოლოდ პირველი ფურცლები, მაგრამ რესპუბლიკის ათასობით მშრომელი თავის სამუშაო ადგილებზე უკვე დგას მეთერთმეტე ხუთწლედის შრომითს ვახტზე. „დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ემზადება ჩვენი ქვეყანა სკკპ XXVI ყრილობისათვის, — აღნიშნა ნაბეჭდთა ხალხისადმი საახალწლო მილოცვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — ამას მოწმობს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მომავალი ხუთწლედისა და 1990 წლამდე პერიოდის ეროვნად მიმართულებათა პროექტის განხილვის მიმდინარეობა". სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის ბრძოლების, კომუნისტურ მშენებლობაში ახალი მიღწევების, მომავლის ამოცანების შესახებ იყო სპეციალური რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც 8 იანვარს გაიმართა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის ხარვეზნი კომისიის წევრები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, მინისტრები და უწყებათა ხელმძღვანელები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

მოხსენება „რესპუბლიკის მშრომელთა 1981 წლის სოციალისტური ვალდებულებების პროექტი და რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანები" გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. კოლბინმა.

შემდეგ მოხსენების გამო დაიწყო კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ზ. შ. მესხიშვილი, საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიონის პირველი მდივანი ბ. ს. შუღაროვი, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე რ. ა. ჯაფარიძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ო. ნ. სულაძე, საქართველოს სსრ სამინტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს უფროსი ბ. ბ. ბამთარელიძე, საქართველოს სსრ მხუნუქი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ე. ი. ლულაძე, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ი. ა. ხარატიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ნ. ა. ლანდია, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი ნ. ა. გიორგობიანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგე ნ. რ. საჯაია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

მომხსენებელმა და კრებაზე გამოსულებმა აღნიშნეს, რომ მთელი შეათე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში აქტიური მუშაობა წარმოებდა საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის 17 ძირითადი მაჩვენებლის მისაღწევად. კრებაზე აღინიშნა, რომ ეს მუშაობა 1981 წელსაც უნდა გაგრძელდეს, მაგრამ კიდევ უფრო უნდა დაკონკრეტდეს იგი, ამა-ღლდეს შედეგიანობა.

წარმოების ზრდის ტემპის, პროდუქციის ხარისხის, შრომის ნაყოფიერების გადიდების და სხვა მაჩვენებელთა მიხედვით განისაზღვრა პასუხისმგებელი ხელმძღვანელი, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი განყოფილება.

ასეთივე მუშაობა გაიშალა ყველა სამინისტროში, უწყებაში, ადგილობრივ პარტიულ ორგანოში. წელს იგი კიდევ უფრო უნდა გავააქტიუროთ.

აღინიშნა, რომ კარგად არის დაყენებული გეგმების შესრულების უზრუნველყოფისათვის მუშაობა პარტიის თბილისის, ქუთაისის, რუსთავის საქალაქო კომიტეტებში, სამტრედიის, ხაშურის, ზუგდიდის, მახარაძის, თელავის რაიკომებში. აქ პარტიული კომიტეტების ბიუროების წევრები, სხვა ხელმძღვანელები მიმაგრებული არიან გარკვეულ სახალხო-სამეურნეო უბნებზე. მათ მუდამ იციან იმ უბნების საქმის ვითარება, რომლებსაც კურირებას უწევენ, აანალიზებენ მას, აკონტროლებენ გეგმა-დავალებათა შესრულების მიმდინარეობას.

აღინიშნა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის მთელი რიგი საქალაქო და რაიონული კომისიების დადებითი გამოცდილება.

ამავე დროს კრებაზე მოიყვანეს ცალკეული მაგალითებიც, რომლებიც მოწმობს, რომ უსისტემოდ, ზოგჯერ ფორმალურადაც კი ეკიდებიან ამ დიდმნიშვნელოვან მუშაობას.

მაგალითად, პარტიის ჯავის რაიკომში შემთხვევიდან შემთხვევამდე იხილავენ რაიონის განვითარების საკითხებს შეჯიბრების კომისიის სხდომებზე. ამ, აგრეთვე ყაზბეგის, დმანისის, ამბროლაურის, ადიგენის, კასპის, ორჯონიკიძის, სხვა რაიონებში არ წარმოებს თანამიმდევრული, მტკიცე, მიზანსახარული მუშაობა დადებითი სამოლოო შედეგების მიღწევისათვის. სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას ეს მუშაობა ადგილობრივი მრეწველობის, მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის და ზოგიერთ სხვა სამინისტროშიც. სწორედ ამით არის გამოწეული აქ არსებული ნაკლოვანებები და ხარვეზები.

კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ 1979-80 წლების მანძილზე რესპუბლიკაში დამთავრდა საწარმოო დანიშნულების ბევრი ობიექტის მშენებლობა, მაგრამ ყველა ისინი როდი იძლევიან სრულ უკუგებას. ამ საწარმოთა მუშაობა მკაცრ პარტიულ და სახელმწიფო კონტროლს უნდა დაუქვემდებაროთ.

კრების მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს მომჭირნეობისა და უიარაღთანების საკითხებს. ზამთრის პერიოდში საწარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მყარი მუშაობის უზრუნველსაყოფად უნდა „განზორციელდეს ღონისძიებანი ორი მიმართულებით. გადაჭარბებით შეასრულონ საგეგმო დავალებანი სათბობ-ენერგეტიკულმა საწარმოებმა და ყოველნაირად დაიზოგოს სათბობ-ენერგეტიკული რესურსები. მომხმარებლებმა ელექტროენერგიის ხარჯვა გასული წლის სამი კვარტალის მანძილზე შეამცირეს 4.1 პროცენტით.

ამ მიმართულებით კარგად მუშაობენ საწარმოები, რომლებიც შედიან საავტომობილო მრეწველობის, სასოფლო მშენებლობის, თევზის მეურნეობის საკავშირო სამინისტროების, აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის, სასოფლო მშენებლობის, კავშირგაბმულობის რესპუბლიკური სამინისტროების სისტემაში, „საქართველოს ჩაის" გაერთიანება და სხვები. მაგრამ არის ისეთი საწარმოებიც, რომლებიც ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს ეკიდებიან ფორმალურად, უპასუხისმგებლოდ. დაზოგვის ნაცვლად სისტემატურად ზედმეტს ხარჯავენ ელექტრულ და სითბურ ენერგიას. ასეთებს განეკუთვნება, კერძოდ, რუსთავის ქიმიური და ქიმიური ბოკკოს, მეტალურგიული ქარხნები, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა, ბათუმის მანქანათსაშენებელი, გარდაბნის მუყაო-რუბეროიდისა და სხვა ქარხნები.

ჯერ კიდევ არ ეთმობა სათანადო ყურადღება პროდუქციის გამოშვებისათვის ენერგორესურსების ხარჯვის მეცნიერულად დასაბუთებული ნორმირების საკითხებს. ბევრი საწარმო ხელოვნურად ადიდებს ხარჯვის ხვედრითს ნორმებს, რაც შედეგად მათ საშუალებას აძლევს სტატისტიკურ ანგარიშში არარეალური მომჭირნეობის მაჩვენებელი წარმოადგინონ.

კრებაზე დაწვრილებით შეეხნენ სატრანსპორტო, სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობას. კრებამ მოითხოვა, რომ უნდა გავააქტიუროთ რესპუბლიკური ორგანოების, შესაბამისი კომისიების საქმიანობა, რათა მივაღწიოთ ყველა სახეობის ტრანსპორტის, განსაკუთრებით რკინიგზის ტრანსპორტის უფრო ზუსტ მუშაობას.

საჭიროა ძირეულად შეიცვალოთ დამოკიდებულება სახიანო მშენებლობისადმი და იანვრიდან უზრუნველვყოთ კაპიტალდასაბანდების ათვისების დავალებათა შესრულება, გავაუმჯობესოთ ბინების ხარისხი და თანაბარზომიერად ჩავაბროთ კვარტალურად. საჭიროა უკვე ახლა მივაღწიოთ მატერიალური და ადამიანთა რესურსების კონცენტრაციას 1981 წლის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ასამოქმედებელ ობიექტებზე, რათა უზრუნველყოთ მათი დროულად გადაცემა საექსპლოატაციოდ. ამასთან 1981 წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენტაზეოროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოთხოვნების შესაბამისად საჭიროა არა მარტო ეაშენოთ, არამედ ავამოქმედოთ ობიექტები. ფავამზადოთ აქ იმდენი პროდუქცია, რამდენიც გაამართლებს ამ ობიექტების მშენებლობისათვის გაწეულ ხარჯებს.

კრებამ დასახა ამოცანა, რომ მშენებლობასთან ერთად უნდა ჩამოვაყალიბოთ საწარმოო კოლექტივები, შევათვისებინოთ ადამიანებს ტექნოლოგია, ამა თუ იმ ობიექტის მშენებლობის დამთავრებამდე შეეკმნათ ყველა პირობა მათი ნორმალური, შეუფერხებელი ექსპლოატაციისათვის. ამასთან მაქსიმალურად შეეამცროთ საპროექტო ნაშენების მიღწევის ვადა.

უაღრესად დაძაბულია რესპუბლიკის მშრომელთა ვალდებულებანი 1981 წლისათვის — სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისათვის. მნიშვნელოვნად ჩქარდება საბრეწველო წარმოების მოცულობის ზრდის, შრომის ნაყოფიერების გადიდების ტემპი. ეს მოითხოვს დამატებითი რეზერვების გამონახვას, მათ მაქსიმალურ გამოყენებას, სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განამტკიცებას.

დიდი ამოცანები დგას მევენახეების, მეჩაიეების, მეციტრუსეების, მეცხოველეების, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელის წინაშე.

კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ 1981 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა ვიზრუნოთ მაქსიმალური შედეგიანობით, ფართოდ გავავრცელოთ კარგი თაობრნობები და ინიციატივები.

კრებამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ საჭიროა კიდევ უფრო განვავითაროთ ბოლო ხანს დამკვიდრებული ტენდენცია — წლითი-წლობით ვალწევდეთ კარგ შედეგებს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეში. ეს ტენდენცია, ეკონომიკის მართვის სრულყოფისათვის მუშაობა უნდა გახდეს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოთა მთელ საქმიანობაში განმსაზღვრელი ფაქტორი.

კრებამ მოითხოვა კვლავაც განვავითაროთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის გამართლებული ფორმები და მეთოდები ამ მიმართულებით ჩამოყალიბებული სისტემისა, რომელიც შეიცავს მუდმივ კონტროლს პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის ყველა დონეზე სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების, შეჯიბრების შედეგების შეჯამების მომდინარეობისადმი და სხვა.

რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულა მეათე ხუთწლედი და მიაღწია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეათე ხუთწლედის ძირითადი მიმართულებებით განსაზღვრულ სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპის მიჯნას. მაგრამ მეთერთმეტე ხუთწლედი კიდევ უფრო დაძაბული იქნება. მისი ყველა დავალების შესრულება მოითხოვს ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციის კიდევ უფრო მეტ მეცადინეობას, ჩვენი რესპუბლიკის თითოეული მშრომელის კიდევ უფრო თავდადებულ შრომას. კრებამ მოითხოვა, რომ საჭიროა ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ვიმუშაოთ დიდად ნაყოფიერად, დამკვრელურად, ყოველთვის გვახსოვდეს, რომ გეგმა კანონია და იგი უთუოდ უნდა შესრულდეს.

კრებამ დასახა ამოცანა, სრულყოთ მთელი ეკონომიკის ხელმძღვანელობა ქალაქებისა და რაიონების მასშტაბით, განსაკუთრებით სასოფლო რაიონებში, რომლებიც აგრარული რაიონებიდან აგრარულ-სამრეწველო რაიონებად გადაიქცნენ. თუ მეტწილ ჩვენ რაიონებში სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის სისტემა შეწყობილად მუშაობდა, ახლა დადგა დრო, რომ ასევე შეწყობილად, სოფლის მეურნეობის თანაბრად მუშაობდეს მრეწველობის ხელმძღვანელობის სისტემაც.

კრებამ აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობაში გართულდა ამოცანები იმის გამო, რომ რესპუბლიკაში არასრულყოფილი კლიმატური პირობები შეიქმნა. ძლიერ კოკისპირულ წვიმებს დასავლეთ საქართველოში, მშრალ, უთოვლო ზამთარს აღმოსავლეთ საქართველოში უარეესად უარყოფითი ზეგავლენა შეუძლიათ მოახდინონ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობაზე. ამიტომ კრებამ პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს მოსთხოვა გამოიჩინონ მაქსიმალური ზრუნვა და ყურადღება მომავალი მოსავლის ბედიისადმი ამ დარგის ყველა სფეროში.

კრებამ სერიოზული ყურადღება დაუთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული სასურსათო პროგრამის განხორციელების საკითხებს და ყოველ რაიონს, ყოველ სოფელსა და კოლმეურნეობას მოსთხოვა შეიმუშაოს ასეთი პროგრამა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებებისა და რესპუბლიკის მთელი სასურსათო პროგრამის მოთხოვნების გათვალისწინებით. განსაკუთრებით აღინიშნა ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეში კოლმეურნეობათა. თავმჯდომარეების პერსონალური. პასუხისმგებლობის გაძლიერება. ამ მოთხოვნათა სულისკვეთებით უნდა. აღვზარდოთ სოფლის ყველა რგოლის ხელმძღვანელები.

ხაზი გაუსვა რა რესპუბლიკის მშრომელთა 1981 წლის სოციალისტური ვალდებულებების შესრულების დიდ მნიშვნელობას, კრებამ წამოაყენა ლოზუნგი, გავშალოთ მოძრაობა საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

კრებამ ყველა რგოლის ხელმძღვანელებს სერიოზულად მოსთხოვა გააძლიერონ ბრძოლა უყაირათობის, დაგაცის ფაქტების წინააღმდეგ. მიაღწიონ დისციპლინის, სიფიზლისა და მომთხოვნელობის განმტკიცებას ყველგან და ყველაფერში.

კრებამ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის მშრომელები წარმატებით შეასრულებენ მეთერთმეტე ხუთწლედის ყველა დავალებას, სახელოვანი საქმეებით შეხვდებიან სკკპ XXVI ყრილობას, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 60 წლისთავს.

პარტიულ სამეურნეო აქტივის კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

კრების მონაწილეებმა მიიღეს საქართველოს სსრ მშრომელთა 1981 წლის სოციალისტური ვალდებულებანი. (საქინფორმი).

მიღწეული შედეგი ხანდახან იმის მიხედვით გადაფასდება ხოლმე, თუ რა უდევს საფუძვლად მისთვის ბრძოლას — გრძნობა, რომ სხვაგვარად არ შეგიძლია, რომ საქმიანობ საკუთარი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, აკეთებ შესაძლებლობის მაქსიმუმს, თუ რაიმე გამორჩენის ანდა რადაც უნდა დაგიჯდეს თავის გამოჩენის უაღრესად მიწიერი სურვილი გამოძრავებს. ოღონდ ერთი კია — რაგინდ ძლიერი მდგომარეობა, პრაგმატული იყოს მისწრაფება, იგი დიად საქმეთა საფუძველი არასდროს გამხდარა.

დიდი საქმე კი ყველგან შეიძლება აკეთოს კაცმა, მარტო მეცნიერებაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში კი არა, დაზგასთან, ხარაჩოსთან, ზვარში, ჩაის პლანტაციაზე...

ერთ ხუთწლედში ორი მოაქციო, იმაზე ორჯერ მეტი შეძლო, რაც გეგალება, რასაც გთხოვენ — ფიდი საქმეა სწორედ.

გაპირავნებულ ფართობზე 72 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა და ამით მარტო მეათე კი არა, მომდევნო, მეთერთმეტე ხუთწლედის წინაშეც პირნათლად გამოვიდა.

გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ნორა საკანიასათვის წარმატება უცნო არ არის. და თუმცა არც ის წვლილია უმნიშვნელო, რომელიც მან 500 ათასი ტონა ჩაისათვის ლაშქრობაში შეიტანა, მაინც ფიქრობს, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

— ნანამ გამოუყენებელი რეზერვები მეგულება, ეს გრძნობა არ მომახვენებს, — ამბობს ნორა.

ან კი როგორ არ გექნება დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, როცა იცი, რომ ტექნიკის მაქსიმალური გამოყენებით, ყველა რგოლის მუშაობის სრულყოფით, ნედლეულის კრეფისა და გადამუშავების ტექნოლოგიის დახვეწით შედეგები ბევრად გაუმჯობესდება. ჩაის გადამმუშავებელი მრეწველობის სიმძლავრე უთუოდ უნდა შეეხებამებოდეს ნედლეულის წარმოების მოცულობას. მაშინ მთელი დღის მოკრეფილი ფოთოლი მიწაზე აღარ ეყრება და ხარისხს არ დაკარგავს. ამასთან ჩაის ფაბრიკებმა ნედლეულისა აუცილებლად დიფერენციულად, ხარისხის მიხედვით უნდა გადაამუშაონ — ასე ფიქრობს ნორა.

იმ ოცდაბუთი წელიწადიდან ნ. საკანიამ ჩაის პლანტაციაში რომ გაატარა, ყოველი მომდევნო წინაზე უკეთესი იყო. მაგრამ ყოველი ახალი გამარჯვება მისთვის უკვე განვლილ ეტაპად. გუშინდელ დღიდ მალევე გადაიქცეოდა და მას მომავალზე, უფრო მაღალ მიჯნაზე ფიქრი ცვლიდა ხოლმე უმალ. საქმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ მოუტანა მას ლენინის ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი, საქართველოს სსრ სახელმწიფოო პრემიის ლაურეატობა. ამას წინათ კი საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატად აირჩიენ.

მაგრამ ის დიდი წარმატებაც, რომლის გამო თანამოსაქმეებმა ამგვარი პატივი დასდეს, მისთვის უკვე წარსულად იქცა. გაზაფხულამდეც ბევრი აღარ დარჩა. იგი თავისი საზრუნავითა, ახალი საფიქრალით მოვა და ყველაფერი. ისევ თავიდან დაიწყება...

ბ. ხარებაშვილი.

სურათზე: ნ. საკანია — საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატი, გუდაუთის რაიონის დურიფშის კოლმეურნეობის მეჩაიე.

ი. ჯოხონელიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მიფრინავს „კოსმოს-1237"

საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1237".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას, აპარატურა ნორმალურად მუშაობს, საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

საყრილობო ვახტზე

ზესტაფონი (საკ. კორ.). ქარხანა „საქაბელის" კოლექტივმა ახალი წლის პირველი დღეებიდანვე მუშაობის სწრაფი ტემპი აიღო. ამის დასტურად საწარმოს ხელმძღვანელმა გ. კუჭუხიძემ რამდენიმე შთამაგონებელი შედარება მოიყვანა. გასული წლის ოთხ დღეში წარმოებული იყო 87.000 მანეთის პროდუქცია, წელს კი ეს რიცხვი 140.000 მანეთამდე გაიზარდა — ეს ზეგეგმით 600 კილომეტრი სხვადასხვა დანიშნულების კაბელია, რომელსაც ჩვენი სახალხო მეურნეობა ელოდება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა იმ ცვლის კოლექტივი, რომელსაც ნ. გუნიავა ხელმძღვანელობს. იგი ყოველდღიურად 4.000 მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას უშვებს. ამ ცვლაში წარმატებით მუშაობს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატი, განმხოლოებული კაბელის შემგრეხი ვ. ნებიერიძე.

კომუნისტის დამახასიათებელი თვისებაა — ძნელ უბანზე იღვწოდეს. სწორედ ასე მოიქცა საამქროს უფროსი ი. ფერაძე. იგი სპეციალობით ავტოინჟინერია და სურვილი გამოთქვა გადავიდეს შიგა-საქარხნო ავტოტრანსპორტის ხელმძღვანელად, რომელიც ქარხნის ერთ-ერთი ჩამორჩენილი უბანია. მეკაბელეებმა დამაჯერებლად დაიწყეს ახალი წელი. მათი მტკიცე გადწყვეტილებაა დაძლიონ გასულ წლის მათს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და მომხმარებელს შეუფერხებლად მიაწოდონ მაღალხარისხოვანი კაბელი.

ღირსეულ შეხვედრას უმზადებს სკკპ XXVI ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 4 საამქროს კოლექტივი. მათ გადაწყვიტეს ქვეყნის კომუნისტთა ფორუმის გახსნის დღისათვის დაზოგონ 15 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია და გეგმის გადაჭარბებით გამოადნონ 3500 ტონა მაღალხარისხოვანი ფეროშენადნობი.

საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან ლ. ფოცხვერაშვილის, კ. ედიბერიძისა და სხვათა ბრიგადები. ეს კოლექტივები გრაფიკის გასწრებით შრომობენ და მაღალხარისხოვან სხმულს უშვებენ.

სურათზე: საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი (მარცხნიდან მარჯვნივ): ბრიგადების ხელმძღვანელები ლ. ფოცხვერაშვილი, კ. ედიბერიძე, საამქროს ოსტატი თ. ბეგაძე, მდნობელი ზ. ფცქიალაძე და ელექტროკოხი კ. გოგლიჩიძე.

ა. მაჭავარიანის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეცხოველეობას — ჩვენი გულისყური!

მკაცრი ზამთარი რომ ყოფილიყო?..

„კომუნისტის" რეიდი

პირუტყვის ნორმალური ყამოზამთრებისათვის წყალტუბოს ზონის სახოგადოებრივ მეურნეობებში გარკვეული ღონისძიებანი განხორციელდა. სწორედ ამის შედეგია ის, რომ სახელმწიფოსათვის ზორცისა და რძის მიყიდვის შარშანდელი დავალებანი შესრულდა. შარშან სახელმწიფოს მიეყიდა 4.120 ტონა რძე, გეგმა კი 4.100 ტონას ითვალისწინებდა. გადაჭარბებით შესრულდა ხორცის დამზადების დავალებაც, ნაცვლად 2.100 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 2.110 ტონა ხორცი.

მნიშვნელოვნად მოიმატა საშუალო წველადობამაც. წინა წელთან შედარებით თითოეულ ფურრზე მიღებულია 60 კილოგრამით მეტი რძე. ამ დღეებში წყალტუბოს ზონის სახოგადოებრივ მეურნეობებში მოწყობილმა რეიდმა დაგვარწმუნა, რომ 1980-1981 წლების ზამთრის სეზონისათვის გეგუთის საბჭოთა მეურნეობაში ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ზამთრის პირიდაზიც შეინარჩუნონ პირუტყვის „მაღალპროდუქტიულობა; შარშან გადაჭარბებით შესრულდა ხორცისა და რძის წარმოების როგორც დავალება, ასევე ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. ეს იმის შედეგია, რომ ნაყოფიერად იშრომეს საკვებმომპოვებლებმა, რომლებმაც პირნათლად შეასრულეს საკვების დამზადების დავალებანი. ახლა მეურნეობის ფერმა უზრუნველყოფილია ყუთიანი და მაღალკალორიული საკვებით.

მაღალორგანიზებულად მიმდინარეობს პირუტყვის ზამოზამორება ფაბრიკებში. ბევრი სოფლების რიონის, ენგურის, ოფურჩხეთის კოლმეურნეობებში, ქვიტირისა და მესხეთის საბჭოთა მეურნეობებში. ამ საზოგადოებრივი მეურნეობების წევლმძღვანელებმა დროულად იზრუნეს პირუტყვის სადგომების შეკეთებისათვის, დაათბუნეს ფერმების შენობები, მოქმედებს წყლის გამთბობი, აგრეთვე საკვების დაქუცმაცებელი და დასამზადებელი აგრეგატები. თითოეულ მეურნეობაში ერთი ფურის საშუალო წველადობა 1.800 კილოგრამს აღწევს, რაც 400 კილოგრამით აღემატება ზონის სახოგადოებრივი მეურნეობების საშუალო მაჩვენებელს.

წყალტუბოს ზონის მეცხოველეთა წარმატებანი გაცილებით მეტ იქნებოდა, ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დროულად რომ ეზრუნათ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის. ამ მხრივ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი გამოვლინდა ოფშკვითის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — ლ. კორძაძე, პარტიული ბიუროს მდივანი — მ. წიქორიძე, ფერმის გამგე — დ. ხარაბაძე). მეურნეობის ფერმაში კარგად არ მოემზადნენ პირუტყვის გამოზამთრებისათვის. ჯერ ერთი, არ შეხრულდა საკვების დამზადების დავალებანი, მართალია, ნამჯა და ჩალა საგეგმოზე მეტი დამზადდა, მაგრამ სანდარეობს პირუტყვის გამოზამთრება სოფლების რიონის, ენგურის, ოფურჩხეთის კოლმეურნეობებში, ქვიტირისა და მესხეთის საბჭოთა მეურნეობებში. ამ საზოგადოებრივი მეურნეობების წევლმძღვანელებმა დროულად იზრუნეს პირუტყვის სადგომების შეკეთებისათვის, დაათბუნეს ფერმების შენობები, მოქმედებს წყლის გამთბობი, აგრეთვე საკვების დაქუცმაცებელი და დასამზადებელი აგრეგატები. თითოეულ მეურნეობაში ერთი ფურის საშუალო წველადობა 1.800 კილოგრამს აღწევს, რაც 400 კილოგრამით აღემატება ზონის სახოგადოებრივი მეურნეობების საშუალო მაჩვენებელს.

ამ ტიპის ფაბრიკებში ბევრ ადგილას ცუდ მდგომარეობაშია. 150 ავტომატური სარწყულებელიდან გამართულად მუშაობს მხოლოდ ნახევარი და, რაც მთავარია, ფერმაში არ ჰყოფნით მუშახელი, ვერ იქნა და ვერ გამოძებნეს ორი მწველავი და ამდენივე მომვლელი. ასეთ პირობებში, ცხადია, პირუტყვს აშკარად ეტყობა მოუვლელობა.

პატრიკეთის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — ა. გიორგობიანი, პარტბიუროს მდივანი — გ. დიდავა, ფერმის გამგე — ვ. ხარაბაძე) დამაკმაყოფილებელი არ არის შრომის დისციპლინა, აკლიათ მწველავები და მომვლელები, შემოწმების დღეს საღამოთი პირუტყვისათვის არ მიუციათ კომბინირებული საკვები, აგვიანებენ აგრეთვე უხეში საკვების მოწოდებასაც.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა ფარცხისაყანეთის მევენახეობების (დირექტორი — ა. ფორჩხიძე) და მაღლაკის მებოსტნეობის (დირექტორი — ა. ა"ვეთია) საბჭოთა მეურნეობებში. აქ დროულად არ იზრუნეს ფერმების შეკეთებისათვის, არ იყენებენ ზოგიერთ მექანიზმსა და მანქანა-დანადგარს, ფერმის მუშაკებს არ გააჩნიათ სპეცტანსაცმელი.

პირუტყვის ორგანიზებული გამოზამთრების საქმე საფრთხეშია ზონის მთის სოფლების დინორისისა და საჩხერის კოლმეურნეობებში (თავმჯდომარეები — დ. კახიძე, ა. მანაგაძე), სადაც არ ჰყოფნით საკვები. კიდევ კარგი, რომ მკაცრი ზამთარი არ არის, თორემ...

ერთი სიტყვით, პირუტყვის გამოზამთრების საქმე სახარბიელოდ ვერ არის და ამ მხრივ საჭიროა დამატებით ღონისძიებათა განხორციელება.

რეიდის მონაწილენი: ჯ. დემეტრაძე — სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, ხ. ჟორჟოლიანი — სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე, ზ. ლიმბითაძე — გაზეთ „დროშის" განყოფილების გამგე, ა. მანაბაძე — სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების მთავარი ვეტექიმი, თ. აპალიანი — სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების მთავარი ზოოტექნიკოსი, ე. დემეტრაძე — პარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი, დ. გელენიძე — გაზეთ „კომუნისტის" საკ. კორ.

ფილმი მეგობრული ვიზიტის შესახებ

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების გზაზე ისტორიული ნიშანსვეტი გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ოფიციალური მეგობრული ვიზიტი ინდოეთის რესპუბლიკაში 1980 წლის 8-11 დეკემბერს. ამ მოვლენას, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში, მიეძღვნა სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ახალი შეხვედრა ინდოეთთან". ეს ფილმი ცენტრალური ტელევიზიით 8 იანვარს იყო ნაჩვენები.

კინოკადრები ასახავს განსაკუთრებით გულთბილ, გულითად მასპინძლობას, რომელიც ინდოელმა ხალხმა გაუწია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, მის მოლაპარაკებსა და საუბრებს პრემიერ-მინისტრ ი. განდისთან, ინდო

როგორ, რით ვცხოვრობთ სკკპ XXVI ყრილობას?

პარტიული ცხოვრება:

კომუნისტის აქტიური პოზიცია

„ბაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ თბილისის საწარმოო გაერთიანების „ხაქლვინომანქანის“ ხარატის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის შ. ჯობაძის წერილში აღძრულ საკითხებს კარგა ხანს გონების თვალით ვაჯერებდი ჩვენი კოლექტივის საქმიანობასთან, წარმატებებთან, რომელთაც ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ვაღწევთ, პრობლემებთან, რომლებიც ჩვენც ახლევე გვაწუხებს და გადაჭრას მოითხოვს. ახლა, როცა დრო გადის და ყრილობამდე დარჩენილ იმ კვირათა რიცხვიც კლებულობს, დამკვრელურად რომ გამოვაცხადეთ, როდესაც თითოეულ წარმატებას თუ წარუმატებლობას განსაკუთრებული ფასი ედება, მსურს, მოგითხროთ ჩემი საწარმოს, კონკრეტულად ჩემი ბრიგადის საქმიანობაზე. მით უმეტეს, რომ ქარხანა „ანალიზსაწყოში“ კარგა ხნის წინათ გაჩაღებულ საყრილობო სამზადისს განსაკუთრებული გაქანება და ორგანიზებულობა მიეცა დღეს, როდესაც ჩვენი საწარმოს მშრომელებიც დდი დაინტერესებით განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს—„სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა შესახებ“, — გვწერს გორელი მუშა ს. ბლუაშვილი.

ქალაქის სამრეწველო რუკაზე გორის ანალიზური ხელსაწყოების საცდელი ქარხანა ოცდაბუთიოდე წლის წინათ გაჩნდა. ბავშვობისას, სოლაში მიმავალს, არაერთგზის გამივლია ახალი ქარხნის მშენებლობაზე. რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ ჩემი შრომითი ბიოგრაფია მის კედლებში დაიწყებოდა და გაგრძელდებოდა. რომ ეს საწარმო ჩემს მეორე ოჯახად გადაიქცეოდა.

— ქარხანას მეორე ოჯახს რომ უწოდებთ, ვითომ გულწრფელი ხართ? — მკითხეს ამას წინათ ჩვენს ქარხანაში სტუმრად ჩამოსულმა საზღვარგარეთელმა სტუმრებმა.

მე გამეღიმა. რა უნდა მეპასუხა? ის, რომ 1967 წელს, საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული ახალგაზდა ხელსაწყოთმშენებელთა კოლექტივში ოჯახის წევრივით მიმიღეს, მასწავლეს და ფეხზე დამაყენეს. ...

ხვალინდელ დღეზე ფიქრით

ნეს?! ან ის, რომ ჩვენს ქალაქში კარგად ცნობილი ხარატი გურამ ბალახაშვილი მშობელივით ამომიდგა გვერდში და რა სიყვარულითა და მოთმინებით ზრდიდა ჩემში მუშა-სპეციალისტს?!

მერე კი, როდესაც უკვე ჩარხთან დამოუკიდებლად დავდექი და, როგორც იტყვიან, წელში გავიმართე, სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩემივე ოსტატი გამოვიწვიე და გავიმარჯვე კიდეც! და პირველი, ვინც წარმატება მომილოცა, ისევ გურამ ბალახაშვილი იყო.

ასე ვცხოვრობთ ჩვენს საწარმოში, ასეთია ჩვენი, საბჭოური ცხოვრების ხასიათი.

სოციალისტური შეჯიბრება ზემოთ შემთხვევით არ მიხსენებია. ნამდვილი შრომითი მეტოქეობა გამარჯვებათა საწინდარია და ამაში ჩვენი მაგალითით იოლად დარწმუნდებით. იმ ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ა. ადუაშვილი თავკაცობს, შარშან მეორე კვარტალში გაიმარჯვა და გარდამავალი ეიმპელი და ფოლადი პრემია დაიმსახურა. მისი წარმატება ყველამ ვიზეიმეთ, მაგრამ შრომითი მეტოქეობა ამით არ განელებულა. პირიქით: მომდევნო თვეებში საამქროს ყველა ბრიგადაში, ცვლაში და უბანზე კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება და ხუთწლეულის ბოლო წლის სახელმწიფო დავალებები საამქრომ გადაჭარბებით შეასრულა. საბჭოთა და უცხოელ მომხმარებელს ათასობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გაეგზავნა.

ეს მარტო ჩვენმა საამქრომ ქმნა. ხოლო ქარხანაში იმავე პერიოდში საგეგმოზე რამდენიმე ათასი მანეთით მეტი პროდუქციაა რეალიზებული, აი ერთი ხუთწლედის მანძილზეც კი რა მძლავრი ნაბიჯებით იარა ჩემმა ქარხანამ.

შეჯიბრება რომ კეთილნაყოფიერად მოქმედებს ეკონომიკის განვითარებაზე, ეს კარგად ჩანს ჩვენი საცდელი ქარხნის საამწყობო საამქროს მაგალითით. იგი ყველა სხვა საამქროსაგან იმითაც განსხვავდება, რომ აქ საბოლოო, დასრულებულ სახეს იღებს კოლექტივის ნაშრომ-ნამოღვაწარი, იქმნება პროდუქცია. იგი თავისი ტექნიკური მაჩვენებლებითა და ხარისხით საამთელო და უცხოური მარკის საუკეთესო ნიმუშებს რომ შეესაბამებოდეს, მაღალკვალიფიციური მუშახელია საჭირო. ქარხნის პარტიული ორგანიზაცია სწორედ ამიტომაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა მუშა კადრების მომზადებას, ზრდასა და დაოსტატებას. შარშან 52 ახალგაზრდა დაეუფლა ამწყობი ზეინკლის პროფესიას, ცოდნა აიმაღლა ან მომიჯნავე პროფესია შეისწავლა 42 კაცმა. შედეგად მკვეთრად გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია და გამოწვეებული პროდუქციის ხარისხი. შარშან რეკლამაცია შვიდიდან ორამდე შემცირდა.

როდესაც მუშაკები შრომაში უმაღლესი შედეგების მისაღწევად იღვწის, თანდათანობით ხვეწს ოსტატობას, უვითარდება ინიციატივის გრძნობა, სწავლობს უაირათობის და მომჭირნეობის რეჟიმის მკაცრად დაცვას, ეს საბოლოო ანგარიშით წარმოების ეფექტიანობას ზრდის, პროდუქციის ხარისხს აუმჯობესებს. ამიტომ ვამბობთ, რომ შეჯიბრება ეკონომიკის განვითარების მძლავრი ბერკეტიაო.

ღრმად მწამს, რომ დამაიანს ისეთ მორალურ სიამოვნებას არაფერი ანიჭებს, როგორსაც შემოქმედებითი შრომა, ქარხანაში ცოტა როდი გვყავს მოწინავენი, რომელთაც შრომითს ვახტზე არაერთხელ გამოუჩენიათ თავი. მაგალითად, გ. შუღლიაშვილი, გ. მაისურაძე, ი. გაბუნია. ისინი ვერასოდეს ვერ შეურიგდებიან საქმისადმი არამეურნეობრივ, უყაირათო დამოკიდებულებას, რადგან იციან, თუ რა მძიმე ტვირთად აწევს ეს ეკონომიკას.

მაგალითს ისევ ჩემი ქარხნის სინამდვილიდან მოვიყვან: არსებობს ზემდგომი ორგანოების დადგენილება საწვავ-საპოხი მასალების ეკონომიური ხარჯვის, დამუშავებული საპოხი მასალების შეგროვებისა და ჩაბარების შესახებ. საწვავ-საპოხ მასალებს გაფრთხილება და შენახვა უნდა. დიდი ხნის მანძილზე ეს მასალები, იმის გამო, რომ შესანახი სათავსოები არ გვქონდა, ეზოში ეყარა. კომუნისტებმა პარტიულ კომიტეტში დასვეს საკითხი მარტივი ტიპის სათავსოების აშენების შესახებ. სათავსოები აშენდა, მაგრამ ამით საქმეს მაინც არ ეშველა. ზოგიერთმა მუშაკმა, უფრო ზუსტად იმათ, ვისაც ეს ევალებოდა, საიმისოდ „ვერ მოიცალეს“, რომ კასრები ფარდულებში გადაეტანათ, და სანამ საქმე ისევ პარტიულ კომიტეტამდე არ მივიდა, კასრები ღია ცის ქვეშ ეყარა.

უპასუხისმგებლობის მეორე მაგალითი: ამას წინათ ერთი ახალი ხელსაწყო ავითვისეთ. როდესაც იგი სერიულ წარმოებაში გავიდა, შხოლოდ მაშინ გაგვახსენდა, რომ მისთვის სამარჯვეები არ გაგვიკეთებია. და ეს პირველი შემთხვევა როდია. ზშირად ხელით, პრიმიტიულად ვაკეთებთ ამა თუ იმ სამარჯვს. პროდუქცია კი საერთაშორისო სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს. ასეთ პასუხსაგებ დავალებას ქარხნის ტექნიკური განყოფილება უფრო მეტი ყურადღებით უნდა ეკიდებოდეს.

ერთხელ პარტიული კომიტეტის სხდომაზე ახალგაზრდას, რომელსაც სკკპ წევრობის კანდიდატად ვიღებდით, ვკითხეთ: —ქარხნის მოწინავე მუშები ჩამოგვითვალეო. ახალგაზრდა ჩაფიქრდა და მერე არცოუ გაბედულად თქვა: მოწინავე მუშები რომ გვყავდეს, განა მათ საპატიო დაფაზე არ წარმოვაჩენდითო?!

მოწინავე მუშები კი გვყავს და არა ერთი და ორი, მაგრამ საპატიო დაფები და სტენდები მართლაც ცარიელია. თვალსაჩინოებაც ღარიბია, მეტი საჯაროობა ესაჭიროება შეჯიბრებასაც. არადა, როგორც ზემოთაც ვთქვი, შრომითი მეტოქეობა ჩვენთან ფართოდ არის გაშლილი. ჩვენმა მოწინავე მუშებმა ვ. შპანკომ, ა. დათაშვილმა, ტ. ყველაშვილმა, შ. კურტანიძემ და სხვებმა ქალაქში შეჯიბრება პირველებმა გააჩაღეს დეეიზით: „მეტი საუკეთესო ხარისხის პროდუქცია— ნაკლები დანახარჯებით!“

მეათე ხუთწლედი ხარისხის და ეფექტიანობის ხუთწლედი რომ იყო, ეს ჩვენთან არავის დავიწყებია. ამის დასტურად ციფრებს და ფაქტებს მოვიშველიებ: წინა ხუთწლედის დასაწყისში ჩვენი ქარხანა ხარისხისნიშნიან პროდუქციას საერთოდ არ უშვებდა. დღეისათვის კი საპატიო ხუთკუთხედის დაშღით ოთხი სახეობის პროდუქცია გამოდის. მეათე ხუთწლედში დავნერგეთ ხარისხის მართვის სისტემაც, დამუშავდა და მოქმედებს 52 შიდასაქარხნო სტანდარტი. ყველაფერი ეს, საბოლოო ანგარიშით, სამეურნეო გეგმების, სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით განაღდების ემსახურება.

თუმცაღა ჩვენი მიღწევები თვალნათელია, მაინც უნდა ვთქვა, რომ წარმატებები კიდევ უფრო მეტი გვექნებოდა, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინა სათანადო სიმაღლეზე რომ იდგეს. გვაკლია მომთხოვნელობაც. ამის თაობაზე გულისტკივილით იმიტომ ვლაპარაკობ, რომ, როგორც პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი, ზშირად გავმხდარვარ იმის მოწმე, ქალაქის ამა თუ იმ საწარმოს, საამქროს, უბანს თავისი პოზიციები თანდათანობით როგორ დაუთმია სწორედ იმის გამო, რომ დროზე არ იზრუნეს დისციპლინის განმტკიცებისათვის. გამოთვლილია, რომ სამუშაო დროის ერთი წუთის დაკარგვა ქვეყნის მასშტაბით 200 ათასი მუშის დღიური მუშაობის ტოლფასი დანაკარგია. ამ სტატისტიკის მიღმა კიდევ უფრო სერიოზული დანაკარგები იმალება. სამუშაო დროის გაცდენა ყოველთვის იწვევს, ასე ვთქვათ, ჯაჭვური ხასიათის რეაქციას. ერთ არაორგანიზებულ მუშას შეუძლია სერიოზულად შეაფერხოს წარმოების ტექნოლოგიური პროცესი, შრომითი რიტმიდან ასობით ადამიანი ამოაგდოს. ჩვენი ქარხნის პარტორგანიზაციის ერთ კრებაზეკი, რომელზეც გაცდენების, დისციპლინის დარღვევის ფაქტების შესახებ ვლაპარაკობდით, ისინი, ვისაც საქმე შეეხებოდა, თავისაზე იდგნენ: თუ მე სამუშაო გავაცდინე, ამით ჩემს მეტი ვინ დავაზარალეო (?!).

მაგრამ დადებითი ტენდენცია აქაც შეინიშნება — „ფრენიების“, გამცდენების, წუნისმკეთებლების რიცხვი ჩვენს ქარხანაში ყოველწლიურად კლებულობს, შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება მტკიცედ მკვიდრდება ადამიანების ფსიქიკაში. ამის მაგალითია უპირველესად ჩვენი. შრომის ვეტერანები, დამრიგებლები, ისინი, ვისთვისაც ძვირფასია კოლექტივის ინტერესები, მისი დღეკანდელი და ხვალინდელი დღე.

ხვალინდელი დღე კი პარტიის მიზანდასახულობით აღსავსე ის დიდი პროგრამაა, რომელსაც ქვეყნის კომუნისტთა უმაღლესი ფორუმი — სკკპ XXVI ყრილობა დაუსახავს საბჭოთა ხალხს მომავლის საზოგადოების აშენების გრანდიოზულ გზაზე.

ს. ბლუაშვილი,
გორის ანალიზური ხელსაწყოების საცდელი ქარხნის მექანიკური საამქროს ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი, რომელმაც გააანალიზა რკინიგზის ტრანსპორტზე სახალხო-სამეურნეო ტვირთის დატაცების საქმეთა სასამართლო პრაქტიკის მდგომარეობა. ამის შესახებ ინფორმაცია გააკეთა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრმა დ. მახარაძემ.

პლენუმის წევრებმა აღნიშნეს ყოველივე ის, რაც დადებითია ამ კატეგორიის საქმეთა გარჩევისას, მაგრამ ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ ზოგიერთი სასამართლო შეცდომებს უშვებს დანაშაულის იურიდიული კვალიფიკაციის დროს, ყოველთვის არ ასრულებს კანონის მოთხოვნებს დამნაშავის დასჯის დამატებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ, განსაკუთრებით პირადი ქონების კონფისკაციის ნაწილში.

ბევრი სასამართლოს პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი მუშაობა არ შეესაბამება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოების დადგენილებებს. ყოველთვის სრულად არ იკვლევენ ამ დანაშაულის გამომწვევ მიზეზებსა და პირობებს, ხშირად დაუსჯელი რჩებიან თანამდებობის პირნი, რომელთა წაყრუებით მოხდა რკინიგზის ტრანსპორტზე დატაცების შემთხვევები.

სასამართლოების პრაქტიკაში არ არის დანერგილი მუშაობის ეფექტიანი ფორმა, გამსვლელი სესიების მოწყობა საზოგადოებრივი ბრალმდებლის ან დამცველის მონაწილეობით.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის რ. ხმალაძის მოხსენება — თუ როგორ ასრულებენ რესპუბლიკის სასამართლოები სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებას „სასამართლოების მიერ დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების თაობაზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება გვიჩვენებს, რომ სასამართლოები ძირითადად სწორად იყენებენ ამ კანონმდებლობას. უკანასკნელ წლებში მათ რამდენადმე გააქტიურეს მუშაობა დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში არის სერიოზული ნაკლოვანებებიც.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე ხაშურის, ზესტაფონისა და ზუგდიდის რაიონების სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეების ო. მუღალაშვილის, ვ. სამხარაძის და შ. სარიას ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ ეს სასამართლოები სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსა და რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმების შესაბამის დადგენილებებს.

საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე, რესპუბლიკის პროკურორი ა. ბარაბაძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. შუშანაშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრები და პროკურატურის პასუხისმგებელი მუშაკები.

განხილული საკითხების გამო მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა გამო.

(საქინფორმი).

▫ მდგომარეობა სალვადორში

ხუნტის მზაკვრული გეგმები

ბოგოტა. სალვადორის მმართველი რეჟიმი მიმართავს უკიდურეს ზომებს, რათა სალვადორში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული შეჭრა გამოიწვიოს. ეს განაცხადა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე სალვადორელმა მოღვაწემ ბენიტო ტორამა. თავისი დასკვნები მან გამოაქვს სან-სალვადორში ორი ამერიკელის საიდუმლოებით მოცული მკვლელობის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე. როგორც იუწყებოდნენ, მარკ პირლმანი და მაიკლ ჰამერი—ამერიკის შრომის ფედერაცია — საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის პროფცენტრთან მოქმედი და ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთან მჭიდროდ დაკავშირებული ამერიკის თავისუფალ პროფკავშირთა განვითარების ინსტიტუტის მოსამსახურენი — მოკლეს უცნობმა პირებმა სასტუმრო „შერატონის“ რესტორანში. როგორც ბ. ტორამა აღნიშნა, მკვლელებს უშუალო დამოკიდებულება აქვთ სალვადორის მმართველ წრეებთან.

ორი ამერიკელის მკვლელობა, დაასკვნის მოღვაწე, შედის თავის მოქმედებაში „დაცვის“ საბაბით სალვადორის საშინაო საქმეებში ამერიკის შერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევით დაინტერესებული მმართველი ხუნტის გეგმებში.

აპირებენ გაერთიანებას

პარიზი. ფრანს პრესის სააგენტო იმოწმებს ლიბიის რადიოს და იტყობინება, რომ ჩადის ეროვნული ერთიანობის გარდამავალი მთავრობის თავმჯდომარის გუკუნი უედეის ლიბიაში ვიზიტის შემდეგ ტრიპოლში გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ ორი ქვეყანა აპირებს მიაღწიოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას.

„ერთ-ერთ მხარეზე ყოველი თავდასხმა ჩაითვლება მეორე მხარეზე თავდასხმად, აღნიშნულია კომუნიკეში. „ჩადის ხელისუფალთა ოფიციალური თხოვნის თანახმად ლიბია ჩადში გაგზავნის თავის ჯარებს, რომ დაეხმაროს უშიშროებისა და მშვიდობის დაცვაში, რაც შეესაბამება აგრეთვე მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულებას, რომელსაც ორივე ქვეყანამ ხელი მოაწერა გასული წლის 15 ივნისს“, — ნათქვამია დოკუმენტში.

▫ ტაილანდი—კამპუჩია

პროვოკაციები საზღვარზე

ბანგკოკი. ტაილანდის ხელისუფალნი აკრძალავენ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, შეიარაღებულ პროვოკაციებს ახდენენ ორი ქვეყნის საზღვარზე.

როგორც კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 27-დან 31 დეკემბრამდე ტაილანდის სამხედრო თვითმფრინავები 18-ჯერ შემოიჭრნენ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში. ტაილანდის არტილერიამ 107-ჯერ დაუშინა ცეცხლი კამპუჩიის პროვინციების სიემრეაპის, პრეახვიჰეის, ბატამბანგის, კახკონგისა და პოუსატის საზღვრისპირა სეტტლერებს. არტილერიის ცეცხლის დაბომბვებით პოლპოტელთა ბანდებმა ექვსჯერ სცადეს შემოეღწიათ კამპუჩიის ტერიტორიაზე, მაგრამ კამპუჩიელ მესაზღვრეთა და ადგილობრივი მოსახლეობის ჯეროვან წინააღმდეგობას წააწყდნენ.

ტაილანდის მხედრიონის შეიარაღებული პროვოკაციების შედეგად, ხაზს უსვამს კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტო, კამპუჩიის მოსახლეობაში არის მსხვერპლი, მიყენებულია საგრძნობი მატერიალური ზარალი.

სეატოს ახალი ვარიანტი?

რა უდევს საფუძვლად ჩინეთ-პაკისტანის დაახლოებას

დელი. დიდი შეშფოთებით შეხვდნენ ინდოეთში ამ ბოლო დროს ჩინეთ-პაკისტანის კონტაქტების მკვეთრ აქტივიზაციას. როგორც პოლიტიკური მიმომხილველები აღნიშნავენ, გასული წლის მარტო ნოემბერ-დეკემბერში პაკისტანში იყო პეკინის ოთხი მაღალი თანამდებობის პირთა სამხედრო დელეგაცია და უფროსი სამხედრო ჩინების რამდენიმე ჯგუფი. ამის შემდეგ ჩინეთიდან პაკისტანში დაიწყო ზებგერითი რეაქტიული ავიადგამანადგურებლებისა და „დედამიწა-ცის“ კლასის მოდიფიცირებული რაკეტების მიწოდება. პაკისტანში ამოქმედდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დახმარებით აგებული საბრძოლო თვითმფრინავების შემკეთებელი საწარმოები.

ინდოეთის მთავრობის წრეებში სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ პაკისტანის სამხედრო პოტენციალის განუწყვეტელი ზრდის გამოც. როგორც ადგილობრივი მეთვალყურენი აღნიშნავენ, პაკისტანის ტერიტორიაზე იზრდება სამხედრო ბაზების რიცხვი, რომლებიც შეიძლება დაექვემდებაროს პეკინისა და ვაშინგტონის კონტროლს და გამოიყენონ ანტიინდიური, აგრეთვე ანტიავღანური და ანტისაბჭოური მიზნებით. როგორც პრესა იუწყება, ინდოეთის მთავრობა დიდ შიშშია ამის გამო. ადგილობრივ პოლიტიკურ და ჟურნალისტთა წრეებში მატულობს რწმენა, რომ იდგმება ნაბიჯი სეატოს სამხედრო ბლოკის ახალი ვარიანტის შექმნის მიზნით, მაგრამ უკვე ჩინეთ-ამერიკის ალიანსის პირობებში, ისლამაბადის აქტიური მონაწილეობითა და მისი სამხედრო პოტენციალის გაძლიერებით.

ინდოეთში მნიშვნელოვან გაღიზიანებას იწვევს ის, რომ ჩინეთი მხარს უჭერს პაკისტანს ეგრეთ წოდებულ „ქაშმირის საკითხში“. პეკინის ოფიციალურმა მოღვაწეებმა ეს განუცხადეს პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრს აღა შაჰის ჩინეთში მისი ამასწინანდელი ვიზიტის დროს.

ინდოეთის ფართო საზოგადოებრიობა გულისწყრომით აღნიშნავს, რომ პეკინმა კვლავ გადასინჯა თავისი პოზიცია „ქაშმირის საკითხში“, რომელიც დიდ სიაოპანმა ჩამოაყალიბა შარშან ზაფხულში. მან მაშინ განაცხადა, რომ ეს „პრობლემა“ ინდოეთმა და პაკისტანმა უნდა გადაწყვიტონ უცხოეთის ჩაურევლად. ახლა კი ჩინეთის ხელისუფალნი იმოწმებენ აღნიშნულ „საკითხზე“ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის რეზოლუციებს“, რაც ჩინეთის შეუნიღბავი ჩარევაა ინდოეთისა და პაკისტანის ორმხრივ ურთიერთობაში ისლამაბადის მხარდასაჭერად.

ასეთ მკვეთრ შემობრუნებას, აქაური მეთვალყურეების აზრით, ხელი შეუწყო ჩინეთის მისწრაფებამ გაამართლოს თავისი მზარდ-მზარდი ყოფნა პაკისტანის მიერ ოკუპირებულ ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის- შტატის ნაწილში, კვლავ გაათვიცოს სეპარატისტული განწყობილება ამ შტატში, დამტკიცებითი ზემოქმედება მოახდინოს დელზე. ამით პეკინელი მმართველები ცდილობენ გაართულონ ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობა, შექმნან სუბკონტინენტზე არასტაბილურობისა და ნერვიულობის ვითარება, განსაკუთრებით მიუმზადონ ბელი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების დელის თათბირის წინ.

როგორც ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის ამბასენანდელი გამონათქვამებიდან ჩანს, ჩინეთისადმი დასავლეთის დამამრება, კერძოდ, სამხედრო დარგში, ამყამად ერთ-ერთი ძირითადი გამღიზიანებელია ინდოეთ-ჩინეთის ურთიერთობაში.

▫ ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო დაწესებულებათა მუშაკები

აქტიურად მონაწილეობენ თავიანთი სამართლიანი მოთხოვნებისათვის ბრძოლაში. ისინი მთავრობისაგან მოითხოვენ ხელფასის მომატებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

მშრომელთა გამოსვლების ჩასაფუშავად ხელისუფლება ძალადობასა და რეპრესიებს მიმართავს: ხდევნიან დემონსტრაციათა მონაწილეებს, „წესრიგის დამცველები“ აპატიმრებენ აქტივისტებს.

▫ ფოტოობიექტივი ამხილებს

▫ ▫ ▫

დიდი სასურსათო ჩანაფიქრი

მორიგი ყრილობისათვის მზადებაში დადგა ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი — ლენინური ტრადიციისამებრ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 — 1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებები“ — საყოველთაო-სახალხო ფართოდ განხილვის ეტაპი.

ოთხმოციან წლებში კომუნისტური პარტია კვლავაც თანმიმდევრულად განახორციელებს თავის ეკონომიკურ სტრატეგიას, რომლის უმაღლესი მიზანია — ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება.

ამ გრანდიოზული პროგრამის განხორციელებაში პასუხსაგები ეტაპი განხდება მეთერთმეტე ხუთწლედი.

ლენინური ამოცანის გადაწყვეტისათვის პარტიას სჭირდება ჩინი: განვახორციელოთ ხალხის კეთილდღეობის თანამიმდევრული გაუმჯობესების ღონისძიებათა სისტემა; უზრუნველვყოთ ეკონომიკის შეუფერებელი ზრდა, სრულყოთ საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურა, მტკიცედ ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა და გავაუმჯობესოთ პროდუქციისა და მომსახურების ხარისხი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მისი ყოველმხრივი იხტენსიფიკაციის საფუძველზე; უზრუნველვყოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომი დაჩქარება, გავაძლიერთ ბუნების დაცვა; სრულვყოთ ადამიანი და ავამაღლოთ მეურნეობრიობის დონე ეკონომიკის ყველა რგოლში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამას. მე, როგორც სამამულო ომის ვეტერანს — პირველი ჯგუფის ინვალიდს, განსაკუთრებით ჩამწვდა გულში პროექტის სიტყვები: „განვახორციელოთ დიდი სამამულო ომის მონაწილეთა ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი“, რომლებიც მილიონობით ადამიანს ეხება.

მთლიანად ვიწონებ ახალი ხუთწლედის გეგმის პროექტს, ამასთან ვსარგებლობ ჩემი მოქალაქეობრივი უფლებებით და გამოვთქვამ ზოგიერთ მოსაზრებას მისი ცალკეული მუხლების გამო.

პირველი: საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონე უწინარესად დამოკიდებულია სასურსათო რესურსებზე. ამიტომ განსახილველად წარმოდგენილ პროექტში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს სასურსათო პროგრამას.

აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის ჩამოყალიბება მოითხოვს მართვის სისტემას. მაგრამ პროექტში არაფერია ნათქვამი მართვის სისტემის ფორმებისა და მეთოდების შესახებ და ეს მაშინ, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიუთითა: „საჭიროა, რომ პროგრამაში განისაზღვროს გადასაწყვეტ ამოცანათა ტიპები და რიგითობა. და, რასაკვირველია, უნდა გვქონდეს პროგრამა მართვის სისტემა, რომელიც ზუსტად ადგენს მუშაობის ყველა უბნის პირად პასუხისმგებლობას და იძლევა საჭირო უფლებებს. უამისოდ ეს პროგრამა კი არა, მხოლოდ და მხოლოდ კეთილი სურვილები იქნება“.

ამის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიმაჩნია პროექტში განისაზღვროს აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის მართვის სისტემის ძირითადი ფორმები და მეთოდები, რაც ადგილებზე დაარჩქარებს და გააადვილებს ასეთი გაერთიანების ფორმირებას და სასურსათო პროგრამის რეალიზაციას.

აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსის მართვის სისტემის ჩამოყალიბების უპირველესი პირობაა დარგობრივი კლასიფიკაციის ზუსტად დადგენა. წინა ხუთწლედებთან შედარებით მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმის პროექტში სოფლის მეურნეობის განვითარების დავალებანი ცალკე განყოფილებად კი არ არის წარმოდგენილი, არამედ აგროსამრეწველო კომპლექსშია შეტანილი და მისი საგეგმო მაჩვენებლები მის მომსახურე დარგებთან არის დაკავშირებული. გეგმის პროექტის სტრუქტურის ასეთი ცვლილება იმით არის შეპირობებული, რომ სასურსათო პროგრამის ძირითადი რგოლი უნდა გახდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოება. სწორედ ამიტომ მოიგებს პროექტი, თუ მეითხე განყოფილებიდან („მრეწველობის განვითარება“) ის პუნქტები, რომლებიც ეძღვნება „სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაში“ და „კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობაში“ განვითარების ძირითად მიმართულებას, გადატანილი იქნება მეზუთე განყოფილებაში „აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარება“.

იმის გათვალისწინებით, რომ აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსი წარმოებისა და რეალიზაციის ერთიანი პროცესი უნდა გახდეს, ასევე გამართლებული იქნება პროექტის მერვე განყოფილებიდან — „სოციალური განვითარება და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება“ — სასურსათო საკონსერვო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საკითხების გადატანა მეზუთე თავში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმზე აღნიშნა, რომ სასურსათო საკონსერვო „ვაჭრობა უნდა ახდენდეს აქტიურ ზემოქმედებას სასურსათო პროგრამის და ფართო მოთხოვნილების საკონსერვო წარმოების პროგრამის შემუშავება-ფუნქციონირებაზე“.

მეორე. პროექტის მეორე განყოფილების მეოთხე აბზაცი დაფორმულებულია „ძმდგენიარად; „შეკმნილი პირობები, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მთელი მოსახლეობის მოთხოვნილება მაღალხარისხოვან და მრავალფეროვან კვების პროდუქტზე, სამრეწველო საქონელზე, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებზე“.

როგორც ცნობილია, განაწილების სოციალისტური პრინციპი და სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ხორციელდება საქონლო მეურნეობის პირობებში. ამიტომ ქვეყნის შინაგაპრობაში ბაზარზე წარმოდგენილი მოთხოვნილება რაოდენობრივად არ ემთხვევა ნამდვილ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით აჯობებდა, თუ აღნიშნული აბზაცი ასე ჩამოყალიბდება: „შეკმნილი პირობები, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მთელი მოსახლეობის ნიადაგ მზარდი მოთხოვნა მაღალხარისხოვან და მრავალფეროვან კვების პროდუქტებზე და არასასურსათო საქონელზე“.

მესამე. „პროექტის მეშვიდე განყოფილებაში ნათქვამია: „გავზარდოთ რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 16-18 პროცენტით, მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო თვიური ხელფასი 13-16 პროცენტით და ხუთწლედის დამლევამდე ავამაღლოთ მინდონე თვეში 190-195 მანეთამდე. გავადიდოთ კოლმეურნეობების, საზოგადოებრივი მეურნეობებისაგან მიღებული კოლმეურნეთა შემოსავალი 20-22 პროცენტით“.

შრომის ანაზღაურებისა და რეალური შემოსავლის დონის ზარდა მხოლოდ მაშინ იწვევს მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას, როცა იგი უზრუნველყოფილია სახალხო მოხმარების საქონლითა და მომსახურების სწრაფი მატებით. სკკპ XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა: „თავისთავად ფულადი შემოსავლის ზრდა ხომ ჯერ კიდევ არ ნიშნავს ცხოვრების დონის რეალურ ამაღლებას. ამავე დროს მთელი რიგი საქონლის ნაკლებობა ამცირებს შრომის მატერიალური სტიმულირების შესაძლებლობებს“. მაგალითად, როგორც ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმზე აღნიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, „საქართველოს სსრ მოსახლეობის მყიდველობითი ფონდების მოცულობა მეცხრე ხუთწლედში 39,2 პროცენტით გადიდდა. მაგრამ მოსახლეობის მყიდველობითი ფონდების ზრდას მხოლოდ მაშინ მოჰყვება დადებითი შედეგი, თუ ამ ფონდების ყოველი მანეთი შესაბამისი მოცულობის საქონლით და მომსახურებით იქნება, უზრუნველყოფილი. ჩვენში კი მოსახლეობის ფულადი შემოსავალი წლითიწლობით სჭარბობს ფულად გასავლს. არარეალიზებული ფული — სწორედ ეს გახლავთ ის ფული, რომლითაც მოსახლეობას პორტფელიურად შეუძლია იყიდოს საქონელი და აანაზღაუროს მომსახურების საფასური, მაგრამ ვერ უქნია ეს ეაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ცუდი ორგანიზაციის, მოსახლეობის შემოსავალ-გასავლის (ფული შეწონასწორების გამო“.

მეტ-ნაკლები ზომით ასეა რესპუბლიკების უმრავლესობაში, ამიტომ პროექტის აღნიშნული დებულება უფრო დასაბუთებული იქნება, თუ მას დაემატება ასეთი აბზაცი: „მშრომელთა რეალური შემოსავლის გადიდების დადგარა უზრუნველყოფილი იქნება საქონლის მასისა და ბომსახურების სწრაფი ზრდით“.

მეოთხე: პროექტის მეათე განყოფილების პირველ აბზაცში ჩაწერილია: „უზრუნველვყოთ საწარმოო ძალების უკეთ განლაგება იმ მიზნით, რომ ავამაღლოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიკური რაიონების მეურნეობის შემდგომ სპეციალობისა და პროპორციული განვითარების საფუძველზე“.

როგორც ჩვენი რესპუბლიკის მაგალითით დასტურდება, საწარმოო ძალების ტერიტორიულ განლაგებას არსებითი გაუმჯობესება ესაჭიროება თვით რესპუბლიკების შიგნითაც. სოციალისტური მშენებლობის პროცესში ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის წარმოების სფეროში ჩაება ახალი რაიონები და ქალაქები, შეიქმნა მსხვილი მრეწველობის მძლავრი კერები, რასაც თან სდევდა მოსახლეობის შიდამიგრაციული პროცესები. ამის შედეგად წარმოება არათუ გახვითარდა, არამედ ამასთან განლაგდა ბევრად უფრო თანაბრად, რითაც გაქრა რეგიონებს შორის საწარმოო ძალების ტერიტორიული განლაგების წინანდელი უთანხმობრობა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არ არის მიღწეული წარმოების შესაძლო თანაბარზომიერი განლაგება, რაც ხელს უშლის რაიონების ეკონომიკურ განვითარებას და მოქალაქეობრივი ცხოვრების დონის დაახლოებას. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს წილად მთელი დის რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 59,8 პროცენტი და სამრეწველო-საწარმოო პერსონალის 60,6 პროცენტი, მაგრამ აქედან ძირითადი ნაწილი — მრეწველობის პროდუქციიდან 51,9 პროცენტი და სამრეწველო-საწარმოო პერსონალის 56,7 პროცენტი მოდის მხოლოდ აღმოსავლეთ-ცენტრალურ (თბილისის) ეკონომიკურ რაიონზე. დანარჩენი სამი ეკონომიკური რაიონის წილი მრეწველობის პროდუქციაში 4 პროცენტს, ხოლო სამრეწველო საწარმოო პერსონალისა. — 3,9 პროცენტს არ აღემატება.

იმის გათვალისწინებით, რომ შიდარეგიონებში საწარმოო ძალების უფრო რაიონალური განლაგების პრობლემა მეტ-ნაკლებად ყველა რესპუბლიკის წინაშე დგას, ვფიქრობთ, საჭირო იქნება პროექტის აღნიშნულ პუნქტს დაემატოს ასეთი აბზაცი: „მიღწეულ იქნეს საწარმოო ძალების ტერიტორიული განლაგების შემდგომი სრულყოფა და ამით საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, თვით რესპუბლიკების შიდარეგიონებში“.

ჩვენი ღრმა რწმენით, აღნიშნული წინადადებების გათვალისწინება ხელს შეუწყობს პროექტის საბოლოო დახვეწას და გაზრდის გეგმის აქტიურ ზემოქმედებას საბჭოთა საზოგადოების შემდგომ პროგრესზე.

ვ. გორგილაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

გამოხმაურება • წინადადება • მოსაზრება

ალმშენებლობის პროგრამა

„განვიხილავთ კპრტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს „სსრკ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“

სოფლის გასაძლიერებლად

პარტიამ ეკონომიკის დარგში თავის პრაქტიკული საქმიანობის ძირითად მიზნად დასახა საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება.

ძირითადი მიმართულებების პროექტში მოცემულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი ამოცანები. დადგენილების პროექტში ხაზგასმით არის ჩაწერილი: „მეთერთმეტე ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა სახალხო მეურნეობის მყარი,შეუფერებელი განვითარების საფუძველზე, დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, გადავიყვანოთ ეკონომიკა ინტენსიური განვითარების გზაზე“.

ძირითადი მიმართულებების ზოგიერთი დებულება, ჩვენი აზრით, მოითხოვს ერთი ფრაზის ჩამატებას. სახელდობრ, პროექტის მეხუთე თავში, სადაც ლაპარაკია აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაზე, წერია: სოფლის მეურნეობაში მივაღწიოთ ყველა დარგის დინამიკურ განვითარებას და ეფექტიანობის ამაღლებას, პროდუქციის წარმოების ზრდას და ხარისხის ამაღლებას... სასურველი იქნება, თუ დავუმატებთ: სამუშაო დროის ეკონომიის ხარჯზე, შემდეგ როგორც ტექსტშია.

იმავე მეხუთე თავში წერია: უზრუნველვყოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იმ დამხმარე სამრეწველო წარმოებებისა და სარეწაოების შემდგომი განვითარება, რომლებიც გადამუშავებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას, აგრეთვე დამზადებენ საშენ მასალებს და გამოუშვებენ სახალხო მეურნეობის საჭიროებას, უმთავრესად ადგილობრივი ნედლეულისა და მრეწველობის ნარჩენებისაგან. ვფიქრობთ, მთელი ზერა განმავლობაში შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშების უკეთ დასაქმების მიზნით, დაემატოს: „ფართოდ გამოვიყენოთ სეზონური შრომითი რესურსები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოო კოოპერაციის შემდგომი განვითარების გზით, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სხვა საწარმოო დაწესებულებებსა და გაერთიანებებს შორის ხელშეკრულების საფუძველზე“.

ი. ბადრიშვილი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ჩვენი აზრით

ფორმალიზმი უნდა აღმოიფხვრას

პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი ითვალისწინებს მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას, მეურნეობის მართვაში მშრომელთა ინიციატივისა და მათი აქტიურობის ზრდას. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ადიდებს ყოველი მშრომელის პასუხისმგებლობას. საყრილობო პროექტის ერთ-ერთ თავში ნათქვამია: „ავამაღლოთ შრომითს კოლექტივებში საწარმოო თანაბრებისა და საერთო კრებების მნიშვნელობა“. ჩემი აზრით, აქ უნდა დაემატოს: „არ დაუშვათ ამ საქმეში ფორმალიზმი და გადამეტებული სხდომობანა, რაც იწვევს მუშის მოცდენას“.

რ. ჭავჭავაძე,
ცხინვალის „ემალსადენის“ ქარხნის ბრიგადირი, სკკპ წევრი.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროექტს გულდასმით გავეცანი და მინდა ჩემი მოსაზრება გამოვთქვა მეგენახეობაზე, ამ დარგის განვითარების გზებსა და პოტენციურ შესაძლებლობაზე. ჯერ ცოტაოდენი ისტორია:

მსოფლიოში თითქმის არ არის ისეთი კუთხე, სადაც იმდენი ჯიშის ვაზი იყოს გავრცელებული, რამდენიც საქართველოში. მკვლევარებს საქართველოში აღრიცხული აქვთ 500-ზე მეტი ჯიშის ვაზი, მათ შორის კახეთში — 80, იმერეთში—75, რაჭა-ლეჩხუმში—50 და სხვა.

მიუხედავად ამისა მეგენახეობის მძლავრი განვითარება და ამ დარგის შემდგომი აღმავლობა ჩვენს დროში ხდება. 1921 წელს საქართველოში 36 ათასი ჰექტარი ვენახი იყო, 1930 წელს — 41 ათასი, 1940 წელს — 69,8 ათასი, ხოლო 1960 წელს — 85,6 ათასი ჰექტარი.

რესპუბლიკაში მეგენახეობის განვითარებისათვის გაბედული ნაბიჯები გადაიდგა სამოცდაათიან წლებში. აღსანიშნავია, რომ მარტო 1976-1979 წლებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 31 ათასი ჰექტარი ზვრები გაშენდა, ანუ იმაზე მეტი, რაც 1950-1960 წლებში — 11 წლის მანძილზე.

მეგენახეობის სტაბილურ განვითარებას საფუძველი ჩაეყარა ნამყენი ნერგის წარმოების მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნით; აშენდა და მწყობრში ჩადგა 30 სრულიად ახალი, თანამედროვე ვაზის ნერგის გამოსაყვანი სათბური, მრავალი სახელმწიფო სანერგე მეურნეობა. ამ დარგის განვითარების ისტორიაში 1975 წლიდან პირველად სრულად დაკმაყოფილდა მეურნეობები საკუთარი წარმოების მაღალხარისხოვანი ნამყენი ნერგით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესუბლიკის მთავრობა 1972 წლიდან მოყოლებული მეგენახეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებებს თანმიმდევრულად ახორციელებენ. ამ დიდი ზრუნვის შედეგად იმატა ყურძნის წარმოებამ და დამზადებამ. 1971-1975 წლებში ყურძნის დამზადება წელიწადში საშუალოდ არ აღემატებოდა 285 ათას ტონას. 1976-1977 წლებში ბმა მიაღწია 349 ათასს, 1978 წელს — 575 ათასს, 1979 წელს 577, ხოლო 1980 წელს 800 ათას ტონას, გეგმა კი 650 ათას ტონას ითვალისწინებდა, ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის წინა წლებში უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენის ასანაზღაურებლად საჭირო იყო სულ 770 ათასი ტონის დამზადება.

რესპუბლიკის მეგენახეებმა შარშან წარმატებით შეასრულეს ყურძნის დამზადების არა მარტო მომდინარე წლისა და ხუთწლიანი გეგმა-ვალდებულება, არამედ ყურძნის წარმოების დასახული ამოცანაც. ყველა სექტორში 900 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ყურძენი ვიწარმოეთ.

განსაკუთრებით კარგ შედეგებს მიაღწიეს ამ ბოლო წლებში გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, ყვარლის, ახმეტის, წითელწყაროს, ზესტაფონის, თერჯოლის, საგარეჯოს, მაიაკოვსკის, ვანის, ლაგოდეხისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მეგენახეებმა. აღსანიშნავია, რომ 1980 წელს მარტო კახეთის რაიონებში 550 ათას ტონაზე მეტი ყურძენი დამზადდა, ანუ თითქმის იმდენი, რამდენიც მთლიანად რესპუბლიკაში 1978 წელს და 1956-1960 წლებში 5 წლის მანძილზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ჩვენში სამხრეთული კულტურების განვითარებაა დაგეგმილი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალ პროექტშიც ამაზეა ლაპარაკი. დადგენილებისა და პროექტის მიხედვით, ჩვენს საზოგადოებრივ ზვრებს კიდევ შეემატება 7,5 ათასი ჰექტარი, მომავალ ხუთწლედში კი 30 ათასი ჰექტარი და ამორტიზირებული ვენახების გამოკლებით საზოგადოებრივ და საკარმიდამო მეურნეობებში ზვრების ფართობი სულ მალე მიაღწევს 160 ათას ჰექტარს, ეს კი იმის საფუძველს გვაძლევს, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე თანმიმდევრულად აფრიალდეს რესპუბლიკის დროშა გამარჯვებულ მეგენახეთა პატივსაცემად, რომლებიც უახლოეს პერიოდში ჯერ მილიონს, ხოლო შემდეგ მილიონ ორასი ათას ტონა ყურძენს დაამზადებენ.

მეთერთმეტე ხუთწლედში წელიწადში ყაზახეთში „ალაზანზე სამთაწყაროსა და ნაზარლებში „ფიროსმანის“, „საქართველოს“ და „რუსთაველის“ მეგენახეობის დიდი საბჭოთა მეურნეობები შეიქმნება. ამავე და სხვა ზონებში გათვალისწინებულია ათიათასობით ჰექტარი სავენახე მიწების გასარწყავება, მრავალი საწარმოო, საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტის მშენებლობა.

ეს ყველაფერი კარგი და მისაღებია, მაგრამ ახალ პროექტში გარკვევით არის ნათქვამი, რომ წარმატებას ყველა უნდა აღწევდეს, რომ ჩამორჩენილნი ჯერ კიდევ ბევრნი არიან. როცა რეზერვებზე ვლაპარაკობთ, სწორედ ჩამორჩენილი მეურნეობების მოწონავეთა დონემდე აყვანას ბგულისხმობთ. მოდით ვილაპარაკოთ ნაკლზე და მერე დავსახოთ ჩამორჩენის აღმოფხვრის ღონისძიებები.

მევენახეობა, სარეკორდო ზვრები და პერსპექტივები

„გავზარდოთ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 22-24 პროცენტით. განვაგრძოთ მისი სპეციალიზაცია მევენახეობის, მეჩაიეობის, სუბტროპიკული მეხილეობის ხაზით. გავაადიდოთ... უურძნის საშუალო წლიური წარმოება სულ ცოტა 1-1,1 მილიონ ტონამდე“.

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტიდან).

პროექტში ნათლად არის ნათქვამი, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში მოსავლიანობის გადიდება ყველას საზრუნავია. როგორ არის ამ მხრივ საქმე ჩვენში? 1976-1979 წლებში ორჯონიკიძის რაიონში ხუთმა კოლმეურნეობამ (116 ჰექტარ ვენახში) საშუალოდ ჰექტარიდან ნაცვლად 40-50 ცენტნერისა მხოლოდ 10-20 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ზესტაფონის რაიონში სამმა მეურნეობამ 220 ჰექტარზე, თერჯოლის რაიონში სამმა მეურნეობამ 186 ჰექტარზე, წყალტუბოს ზონაში ზვიდმა მეურნეობამ 230 ჰექტარზე, ხოლო ცაგერის რაიონში სამმა მეურნეობამ 122 ჰექტარზე საშუალოდ 20-30 ცენტნერამდე ყურძენი მიიღეს. მაიაკოვსკის, საჩხერის, ამბროლაურის რაიონებში საშუალოდ 20-30 ცენტნერამდე ყურძენი მიიღეს 1.600 ჰექტარზე. 3.000 ჰექტარზე, ანუ მთელი ვენახების 33 პროცენტზე მცირე მოსავლიანობის გამო ყოველწლიურად გვაკლდება სულ ცოტა 9-10 ათასი ტონა ყურძენი. 1976-1979 წლებში აქ დასახელებულმა მეურნეობებმა ვერ მიიღეს 2,5 მილიონამდე მანეთი.

ამ მხრივ ქართლისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებში ძალზე არასახარბიელო მდგომარეობაა. ყურძნის საშუალო მოსავლიანობა კასპის რაიონის ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში წლების მანძილზე 27 ცენტნერს არ აღემატება, თეთრი წყაროს ბორბალოს საბჭოთა მეურნეობაშიც ამდენივეს იღებენ, მცხეთის რაიონის ნატახტრის საბჭოთა მეურნეობაში — 20 ცენტნერს, გარდაბნის რაიონის ახალი სამგორის საბჭოთა მეურნეობაში — 20 ცენტნერს, ხაშურის ზემო ქართლის კოლმეურნეობაში — 10 ცენტნერს, ქარელის კოლმეურნეობაში — 8, ხოლო დვანის კოლმეურნეობაში — 12 ცენტნერს...

ყურძნის ასეთი მცირე მოსავლიანობის გამო ქართლისა და სამხრეთ ოსეთის რაიონებმა მეათე ხუთწლედში სახელმწიფოს დააკლეს 42, ათასი ტონა ყურძენი. მათ შორის კასპის რაიონმა — 9.200 ტონა, მარნეულისამ — 12 ათასი, გარდაბნისამ — 5, ხოლო ხაშურისამ — 4,7 ათასი ტონა. განსაკუთრებით შეუწყარებელია, რომ წლების მანძილზე მცირე მოსავალს იღებენ ის მეურნეობებიც კი, რომლებიც სპეციალიზებულია ამ ბაზაზე. ასეთ მეურნეობებს ეკუთვნის ბორბალოს, ოკამის, ნატახტარის, ბოლნისის, ხაშურის,

"ენძელას" ფოტო-გამოფენა

თბილისის კინოთეატრ „კომკავშირელის" ფოიეში გაიხსნა ფოტოკლუბ „ენძელას" გამოფენა. ეს ახალგაზრდული ფოტომოყვარულთა კლუბი შექმნილია ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ სასწავლებელთან, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფკავშირების კულტურის სასახლის რესპუბლიკური ფოტოკლუბის „საქართველოს" გამგეობის წევრი ნათელა სარდლიშვილი.

ახალი გამოფენა ეძღვნება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას და ამავე დროს „ენძელას" შემოქმედებითი კოლექტივის ანგარიშიც არის.

ექსპოზიციაშია 35 ავტორის 125 ნამუშევარი: თანამედროვეთა პორტრეტები, რეპორტაჟები და ყანრული ჩანახატები, პეიზაჟები, ნატიურმორტები, ფოტოიუმორესკები.

საგულისხმოა ისიც, რომ ფოტოკლუბ „ენძელას" წევრთა უმეტესობა გოგონები არიან და გამოფენის დიდი ნაწილიც ქალთა და ბავშვთა ცხოვრებას ეძღვნება.

„ენძელას" გამოფენამ მრავალი დამთვალიერებელი მიიზიდა.

ს. კილაძის ტექსტი და ფოტო.

სურათებზე: გამოფენის ექსპონატები „მხიარული განწყობილება", „ეუდრაჯა" და „გოგონას პორტრეტი".

ნ. ბერძენიშვილის სახელობის პრემიის დაურეკავები

შეჯამდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს მიერ გამოცხადებული ნ. ბერძენიშვილის სახელობის პრემიის მოპოვებისათვის კონკურსის შედეგები. ამ პრემიის მინიშნება ხდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ არქივმცოდნეობის, დოკუმენტმცოდნეობისა და არქიოგრაფიის დარგში საუკეთესო ნაშუშევრებისათვის.

პირველი პრემია მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს მ. ლორთქიფანიძეს ნაშრომებისათვის „მატიანე ქართლისა" და სუმბატ დავითიძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა" (რუსულ ენაზე).

მეორე პრემია მიენიჭა ისტორიკოს ნ. ჯავახიშვილს და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ა. ბაქრაძეს ერთობლივი სამეცნიერო ნაშრომისათვის „ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა". (საქინფორმი).

ჭადრაკის დაფებთან

ვილნიუსი მომდინარე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეცხრე ტურში დოლმატოვმა დაამარცხა რომანიშინი, დაბავდნენ კუზმინრაზუვაევი, ვაპანიან-კუპრეიჩიკი, ბალაშოვ-ვასიაკოვი, გელერ-ფასხისი, ჩეხოვ-ლუპუიანი. დანარჩენი პარტიები გადაიდო. კუპრეიჩიკს 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულა აქვს და კვლავინდებურად შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერია. უნდა ითქვას ისიც, რომ ცხრა ტურის შემდეგ რვა შეხვედრაა დასამთავრებელი. ამიტომ მოჭადრაკეთა სატურნირო მდგომარეობაში ჯერ კიდევ ბევრი რამ გასარკვევია, მაგალითად, იუსუპოვს 4,5 ქულა და ამასთან სამი პარტია აქვს დასამთავრებელი. როგორც ხედავთ, იუსუპოვს თეორიული შანსები აქვს დაეწიოს ლიდერს.

ალმა-ათაში დამთავრდა ქალთა საკავშირო ჩემპიონატის 9 ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. კარგად ითამაშა თბილისელმა ნ. გურიელმა. მან ორ გადადებულ პარტიაში 1,5 ქულა დაგროვა: მოუგო სტრუტინსკაიას და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა მუჩნიკთან. ახლა გურიელს და ფატალიბეკოვას 6-6 ქულა აქვთ (ფატალიბეკოვამ გადადებული პარტია მინოგინასთან წაგო) და მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებენ. მათ წინ უსწრებს მხოლოდ ლევიტინა, რომელსაც აქტივში 7 ქულა აქვს. 5,5 ქულით ზაიცევა მეოთხე ადგილზეა. დანარჩენი გადადებული პარტიები ასე დამთავრდა: ზატულოვსკაიამ დაამარცხა მინოგინა, სტრუტინსკაიამ — კოზლოვსკაია; დაბავდნენ მუჩნიკ-ლიტინსკაია, ზაიცევა-ბელოვა, ზატულოვსკაია-კოზლოვსკაია.

იტალიის ქალაქ მერანოში გაიმართა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მეცხრე პარტია რ. ჰიუბნერსა და ვ. კორჩნოის შორის. 45-ე სვლაზე პარტია გადაიდო. კვლავ ერთ ქულას აგებს ჰიუბნერი — 3,5:4,5.

ურუგვაი თუ ბრაზილია?

ურუგვაიში მალე დამთავრდება სხვადასხვა დროის მსოფლიო ჩემპიონთა ასპარეზობა ფეხბურთში. გადამწყვეტი მატჩის წინ ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. პირველი ფინალისტი ადრე გამოვლინდა. ეს საგზური ურუგვაელებმა მიიღეს. და აი, ბრაზილიელებსა და გერმანელებს შორის მატჩში უნდა გარკვეულიყო მეორე ფინალისტის ვინაობა. ბრაზილიელებს ორმა ფინალისტკენ გაეკაფათ გზა, არა მარტო უნდა გეგმარჯვნათ, არამედ ორი ბურთის სხვაობით მაინც უნდა მოეგოთ შეხვედრა. სხვა შემთხვევაში ქვეჯგუფის საბურნირო ცხრილში არგენტინელებს მიეცემოდათ უპირატესობა. ბრაზილიელებმა კარგად ითამაშეს, გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1 და ფინალში გავიდნენ. თავდაპირველად გერმანელმა ალოფმა გაიტანა გოლი (53-ე წუთზე), ამის შემდეგ კი ბრაზილიელებმა ოთხი ბურთი გაიტანეს — ჟუნიორმა, სერეზომ, სერეიომ და ზე სერეიომ (57-ე, 62-ე, 75-ე და 82-ე წუთებზე).

ურუგვაელთა და ბრაზილიელთა ფინალური მატჩი 10 ივნისს გაიმართება.

საბურნირო ორბიტა

ხელბურთი. მოსკოვში გრძელდება ვაჟთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება „ბალტიკის თასზე". მეორე ტურის შეხვედრათა შედეგები ასეთია: სსრ კავშირი (I)-გფრ — 22:13, სსრ კავშირი (იუნიორები)-დანია — 21:24, გდრ-პოლონეთი — 24:20.

ფიგურული ციგურაობა. ოდესაში დაიწყო საკავშირო ჩემპიონატი. ვაჟთა შორის სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ დაწინაურდა ლენინგრადელი ი. ბობრინი, სპორტულ წყვილთა შორის კი მოკლე პროგრამით ყველაზე უკეთ იასპარეზეს ლენინგრადელებმა ი. ეოროვიოვამ და ი. ლისოვსკიმ. ქალთა შორის სავალდებულო პროგრამა კარგად შეასრულა სსრ კავშირის ჩემპიონმა, მოსკოველმა ელენე ვოდორეზოვამ და იგი შეჯიბრების ლიდერია.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი

აბრძელებს 1981 წლისათვის სტუდენტთა მიღებას წარმოებას მოუწყვეტლივ დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე:

ზოოსაინჟინრო ფაკულტეტი (ქართული და რუსული სექტორები) — ზოოინჟინრის სპეციალობა.

სავეტერინარო ფაკულტეტი (ქართული სექტორი) — ვეტერინარი ექიმის სპეციალობა.

განცხადებები მიიღება 1981 წლის 15 იანვრამდე ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-დან 17 საათამდე. მისაღები გამოცდები მოეწყობა 1981 წლის 18 იანვრიდან 4 თებერვლამდე. მიღების პირობები გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტის" 1980 წლის 10 ოქტომბრის ნომერში. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი — კრწანისი 380107. საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი. ავტობუსი № 28.

უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა საყურადღებოდ!

იმ პირთათვის, რომლებსაც სურთ ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მივლინებით კონკურსგარეშე ჩასარიცხად გამოცდების ჩაბარება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა მოსამზადებელ კურსებზე იხსნება რუსული ენის შემსწავლელი სპეციალური ჯგუფები (სამეურნეო ანგარიშზე).

მეცადინეობა დაიწყება მიმდინარე წლის 1 თებერვალს). დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ კურსების ხელმძღვანელობას (ქ. თბილისი, მე-20 საშუალო სკოლა, ნინოშვილის ქ. № 39).

თბილისის № 26 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1981-82 სასწავლო წლისთვის.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებული საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული ახალგაზრდები, რომლებიც ჩაირიცხებიან შემოკლებულვადიანი სწავლების შედეგად სპეციალობებზე: **მეტროპოლიტენის გვირაბგამყვანები — სწავლების ვადა 7,5 თვე; ხარატები — სწავლების ვადა 8 თვე; ელექტრო-აირშემდუღებლები. სწავლების ვადა 8 თვე.**

ახალგაზრდები სწავლების პერიოდში მიიღებენ სტიპენდიას 72-112 მანეთის ოდენობით, გარდა ამისა, საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მათ მიერ გამოშუშავებული თანხის 50 პროცენტს.

სასწავლებელში სწავლების დრო ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად. რაიონებიდან ჩამოსული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან კეთილმოწყობილი საერთო ბინით და თბილისში ჩაწერით.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს ენიჭებათ კვალიფიკაცია. ეძლევათ შესაბამისი დიპლომი მინიჭებული სპეციალობის მიხედვით და უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაოთი ვ. ი. ლენინის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ელშავალმშენებელში" და ლენინის ორდენოსან „თბილგვირაბმშენის" ობიექტებზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 11 აპრილის დადგენილებით ის პირები, რომლებსაც აქვთ წარჩინების დიპლომი, უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს სარგებლობენ იმ უპირატესობით, რომლებიც დადგენილია ზოგადსაგანმანათლებელო საშუალო სკოლის ოქროს მედალოსან ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის წარჩინებული კურსდამთავრებულისათვის.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ავტობიოგრაფია, სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), დახასიათება.

სწავლა დაიწყება 1 თებერვალს.

სასწავლებლის მისამართია: თბილისი, ავჭალის გზატკეცილი № 72-ბ (ლენინის რაიონი).

ტელეფონები: 66-42-02, 66-45-80, 66-44-01, 66-46-28.

ტრანსპორტი: მეტრო დიდუბიდან ტრამვაი №№ 3, 12, ავტობუსი №№ 55, 63, 64, სადგურიდან — ავტობუსი №№ 11, 31, 62, გადასასვლელი ხიდიდან ტრამვაი №№ 4, 11.

12 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — კინონარკვევი, 10.05 — „მოამბე", 10.35 — მხატვრული ფილმი — „ძველმოდური კომედია", 17.05 — ბავშვებისათვის — „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი", 17.40 — „ათიათასად ზრდილობა". განმეორებით, 18.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.05 — უფროსკლასელთათვის — „ქართული საბჭოთა თეატრი" — ვერიკო ანჯაფარიძე, 19.35 — „ყრილობის დელეგატი", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — კინოჟურნალი, 20.40 — „პატაკი პარგიას", 20.55 — საგელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „პრინც ფლორიზელის თავგადასავალი". პირველი სერია. პრემიერა (მ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „კინოკამერა სამყაროს უყურებს" (მ.), 00.05 — „მოამბე", ღამის გამოშვება.

მეორე პროგრამით: 13.05 — სტუდენტებისათვის — ფილოსოფია, 13.50 — ქართული საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მე-60 პარალელის იქით", 14.20 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია, 14.50 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ნიკო კეცხოველი", 15.10 — მოსწავლეთათვის — სამართლისმცოდნეობა, 15.40 — მოკლემეგრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა თოვლი დნება" (ფ.), 16.25 — მოსწავლეთათვის — „ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას".

13 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „მოამბე", 10.35 — „ქართული კინო — 1980" (განმეორებით), 17.05 — მოსწავლეთათვის — „მუსიკალური ალბომი" (ი. ს. ბახი), 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.05 — „მეცნიერების სამყაროში", 18.30 — განცხადებები, 18.35 — ქართული საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პირადი მაგალითი", 19.00 — „საერთაშორისო დღიური", 19.35—„ყრილობის დელეგატი", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — კინოჟურნალი, 20.40 — „პატაკი პარგიას", 20.55 — საგელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „პრინც ფლორიზელის თავგადასავალი". მეორე სერია. პრემიერა (მ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „სპორტული კალეიდოსკოპი" (განმეორებით), 23.30 — „მოამბე", ღამის გამოშვება.

მეორე პროგრამით: 13.05 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა, 13.50 — მოკლემეგრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის გრძელი დღე", 14.30 — რუსული სკოლის მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 15.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 15.30 — ამიერკიენგთათვის — ქართული ენა, 16.00 — ქართული საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პირველი ჩოგანი", 16.25 — შევინსწავლოთ ინგლისური ენა.

14 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „მოამბე", 10.35 — მუსიკალური შესვენება, 10.40 — „გამბიარულდი, ბუბარო", განმეორებით, 17.05 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი — „ქირავდება ბინა ბავშვით", 18.20 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.35 — განცხადებები, 18.40 — დოკუმენტური ფილმი, 18.55 — „საბჭოველო ზღაპარი", 19.35 — „ყრილობის დელეგატი", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — კინონარკვევი, 20.40 — „პატაკი პარგიას", 20.55 — საგელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „პრინც ფლორიზელის თავგადასავალი". მესამე სერია. პრემიერა (მ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „ქართული თეატრის დღე", 23.55 — „მოამბე", ღამის გამოშვება.

მეორე პროგრამით: 13.05 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა, 13.50 — მულტიპლიკაციური ფილმები, 14.20 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია, 15.05 — ქართული საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბავშვთა ნახატების გამოფენა", 15.25 — ტელეკურსი — მათემატიკა, 15.55 — მოკლემეგრაჟიანი, მხატვრული ფილმი „ანგიკვარები", 16.25 — შევინსწავლოთ ბერძნული ენა.

15 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „მოამბე", 10.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 11.00 — „სადღეგრძელო". განმეორებით, 17.05 — ბავშვებისათვის — მოკლემეგრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორი ღიმილი", 18.05 — განცხადებები, 18.10 — „ბუნების კარი", 18.55 — „ყრილობის დელეგატი", 19.05 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" (მ.), 19.35 — „მოამბე", 20.00 — „სკკპ 26-ე ყრილობის შესახვედრად". აზერბაიჯანის გელევიზიის პროგრამა (მ.), 22.00 — „ვრემია" საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „პატაკი პარგიას", 22.50 — „ჩვენი სპორტის პრობლემები" — ქართული ჭიდაობა, 23.20 — „ძიების გზით". ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია, 24.00 — „მოამბე", ღამის გამოშვება.

მეორე პროგრამით: 13.05 — სტუდენტებისათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია, 13.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 14.10 — მოსწავლეთათვის — „ქართული ენა, 14.40 — ქართული დოკუმენტური ფილმი „რევაზ ლაღიძე", 15.00 — გელეკურსი — ფიზიკაში, 15.30 — კინონარკვევი, 15.45 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია, 16.15 — „მუსიკალური ფოსტა". განმეორებით.

16 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „მოამბე", 10.35 — კინონარკვევი, 10.45 — „თბილისური მელოდიები". განმეორებით, 11.15 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ღვინის ქურდები", 11.45 — მულტფილმი, 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.15 — „კალათბურთი ევროპის ჩემპიონთა თასზე. მადრიდი, „რეალი" — ცსკა. გადაცემა ესპანეთიდან, 17.55 — მოკლემეგრაჟიანი მხატვრული ფილმი „სეკვოვენ მამაკაცები", 18.35 — „ყრილობიდან ყრილობამდე" — „ვერნისაჟი", 19.05 — „ქართული მუსიკის სიახლენი" — ვ. აზარაშვილის საკვარტეტო მინიატიურები, 19.25 — „ყრილობის დელეგატი". ქართული დოკუმენტური ფილმი „მონოლოგი", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „სკკპ 26-ე ყრილობის შესახვედრად" — დიდი წიგნის ფურცვლა, ფილმი მეშვიდე (მ.), 21.00 — „მოამბე", 21.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 21.45 — „პატაკი პარგიას", 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — საგელევიზიო ფილმი „ანდრონიკოვის სიგაგა", 23.35 — „მოამბე", ღამის გამოშვება.

მეორე პროგრამით: 13.05 — სტუდენტებისათვის — უმაღლესი მათემატიკა, 13.35 — მულტიპლიკაციური ფილმები, 13.55 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 14.25 — შევინსწავლოთ ფრანგული ენა, 14.55 — მხატვრული ფილმი „ამაოება, ამაოება", 16.15 — „კომპოზიტორი ნუნუ დუღაშვილი". განმეორებით.

17 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „მოამბე", 10.35 — „თქვენთვის, მშობლებო!" (მ.), 11.05 — შევინსწავლოთ ქართული ენა, 11.35 — ქართული დოკუმენტური ფილმი — „ბაბი" (ფ.), 12.35 — „ხუთწლეული — წელი პირველი", 13.20 — „ხალხური სიმღერების უკვდავება", 14.20 — „წერილების კვალდაკვალ", 14.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 15.10 — „ჯანმრთელობა" — საგელევიზიო პროგრამა, 15.40 — ლიტერატურული თეატრი „ჭიდილი". განმეორებით, 16.55 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.40 — „ყრილობის დელეგატი", 17.50 — „ილუზიონი". კინოპაროდია, 19.30 — პოლიტიკური მიმოხილვიელის ი. ლეგუნოვის საუბარი (მ.), 20.00 — „საესტრადო ალმანახი", 20.35 — „პატაკი პარგიას", 20.50 — კინოჟურნალი, 21.00 — „მოამბე", 21.30 — „ბალეტი ანიმალზ", 22.00 — „ჩემი ბავშვობა", 22.35 — „ბალეტ-ბალეტ", 23.30 — „ბოლო ბალეტ".

18 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — „ცეროდენას ეკრანი", 10.00 — „მოამბე", 10.30 — „მაღვიძარა" (მ.), 11.00 — „საშეურნეო მექანიზმები. სიახლენი — პრობლემები", 11.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 12.00 — „ჯანმრთელობა". სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — შევინსწავლოთ რუსული ენა, 13.15 — „ქართული დოკუმენტური ფილმი „სულხან ცინცაძე", 13.35 — გელეკურსელთათვის — ქართული ენა და ლიტერატურა. (სტუდიაშია დოცენტი თ. კვაჭანტირაძე), 14.05 — „კინოფიშა", 14.30 — „მუსიკალური კოისკი" (მ.), 15.00 — „ვესტნიკი", 15.30 — „ეს ესპრადაა"... (განმეორებით), 16.15 — „ყრილობის დელეგატი", 16.25 — „ილუზიონი", 18.05 — „კინომოგზაურობის ალუმბი" (მ.), 19.00 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე — თბილისის „დინამო" — კიევის ასკ, 20.30 — კინოჟურნალი, 20.40 — „პატაკი პარგიას", 20.55 — მუსიკალური შესვენება, 21.00 — „მოამბე", 21.30 — „ბალეტ-ბალეტ", 22.00 — „ეს ესპრადაა". (განმეორებით), 23.55 — „ბოლო ბალეტ".

12 იანვარი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა", 07.31 — „დილის კონცერტი", 08.00 — „გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 08.15 — „პიკის საათი". საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა, 11.15 — „ა" ცვალმანი. პიესები საესტრადო ორკესტრისათვის, 11.25 — **„პარგიის გეგმები ხალხის გეგმებია".** საუბარი „მიწაში ბიოლოგიური რეზერვების დაცვა და გაუმჯობესებაზე", 12.10 — უკანასკნელი ცნობები 12.15 — იდეალიური სიმღერები მ. ლანცას შესრულებით, 12.25 — ჰოეზია უპირველეს ყოველისა" — ი. აბაშიძის ლექსები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — გ. ცაბაძე. კინოფილმი „ვერის უბნის მელოდიები" სიმღერები, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწონავი სტატია, 13.40 — მოლდავური მუსიკა, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". ა. აბუბაქარი — „თოვლის ადამიანები". რომანი (გაგრძელება), 15.45 — „სოციალიზმის ქვეყნებში" (მ.), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — რ. გაბიჩვაძე. საფორტეპიანო სონატა, 17.35 — მოსწავლეთათვის კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება" კონცერტი, 19.00 — **„პატაკი ყრილობას". „შენთვის, საბჭოთა ადამიანო". ინგვრეთი,** 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — „საბჭოთა ხალხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის შესახებ. მოსაზრებანი, წინადადებანი, დამატებანი" (მ.), 20.30 — „მიკროფონთან მხატვრული კითხვის ოსტატები" 20.45 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — რადიოსადიური „სიჭაბუკე", 20.00 — ბ. კვირნაძე. ქორეოგრაფიული პოემა „სერგეიჩა" და საორკესტრო პიესა „მოლოტოვი", 23.30 — საესტრადო კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

13 იანვარი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა", 07.31 — „დილის კონცერტი" 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 08.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 09.45 — ი. ციჭაყმაძე. სიმღერები, 11.10— ლ. ბეთაოვენი. უვერტიურა „ეგმონტი", 11.20 — „თითოეულისა და ყველას საქმე", 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — მღერის ანსამბლი „ივერია", 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოველისა". ბუნიკის ლექსები, 12.30 — პიესები გიტარისათვის, 12.40 — „კომენტარი საერთაშორისო თემაზე 13.30 — გაზეთი „პრავდის" მოწონავი სტატია, 13.40 — აფხაზური სიმღერები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა. ა. აბუბაქარი. „თოვლის ადამიანები". რომანი (გაგრძელება), 15.45 — „სოციალიზმის ქვეყნებში" (მ.), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — რ. გაბიჩვაძე. საფორტეპიანო სონატა, 17.35 — მოსწავლეთათვის კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება" კონცერტი, 19.00 — **„პატაკი ყრილობას". „საქართველოს ... პროფკავშირი — ყრილობას",** 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — **„ციკლიდან „ომეონსაბები". ნარკვევი „მისი ცხოვრების გზა",** 20.30 — თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის „ეროვნული ... ". ... „ქალბატონი". ... „ეროვნული ... ". ... „ეროვნული ... ". ... „ეროვნული ...